თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 6910538

გაცემის თარიღი: 28/02/2024 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR11018975
შემოსვლის თარიღი: 26/02/2024
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.13.03.038.004
- მისამართი: ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , (ნაკვ. 38/004)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 13039.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ა (ა)იპ "საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია" (201990079)

ნომენკლატურა :

- **დამხმარე - ტექნიკური შენობები**
- **II კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201990079
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან კობიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01023000127

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 6871053
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.02.2024

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. 12.12.2023 წ. № 6795059 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ თქვენი მოთხოვნის თანახმად ბრძანების პირველ პუნქტში ასევე უნდა დაფიქსირდეს "რეკონსტრუქციის ნაცვლად "ახალი მშენებლობა", რისთვისაც ახალი განაცხადით ნომენკლატურაში უნდა აირჩიოთ: "სამართლებრივი საკითხები", შემდეგ "ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში"

2. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი" - არასწორად არის გადახდილი, კერძოდ: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე და მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი (არასაცხოვრებელი) ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 10 (ათი) ლარს.
შენიშვნა: მოსაკრებლის ოდენობა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 6 (ექვსი) ლარს, ხოლო 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე – 8 (რვა) ლარს.
ვინაიდან განაცხადი შემოსულია 2024 წლის 26 თებერვალს, შესაბამისად კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი უნდა გაამრავლოთ 8-ზე, მიღებული რიცხვი მიუთითეთ ამ ველში, პროგრამა ავტომატურად დაიანგარიშებს სხვაობას და და შესაბამისი ინვოისის საფუძველზე გადაიხადეთ სხვაობა

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი